შეთანხმების აქტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა" -ს შორის 2014 წლის 29 აგვისტოს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. ბათუმი *"[illegible]"2015 წელი*

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, შემდგომში „გამყიდველი", წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის უფროსის გელა ცინცაძის (პირადი №61010004263) სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 09.03.2015 წლის №ს-86 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, და მეორე მხრივ, შპს "კახურ ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა" (იურიდიული მისამართი: თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N12, არასასცხოვრებელი ფართი N3-6, სართული 3, ს/კ 405048513; რეგისტრირებული 19.06.2014 წ.), შემდგომში „მყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის დამირი ბასიალაიას (პ/ნ 58001001080) მიერ, მოქმედი შპს "კახურ ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა"-ს შესახებ ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ვხელმძღვანელობთ რა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 27 თებერვლის N39 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის N47 ბრძანებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 09.03.2015 წლის №ს-86 ბრძანებით, წინამდებარე შეთანხმებას ვდებთ შემდეგზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა" -ს შორის 2014 წლის 29 აგვისტოს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (შემდგომში – „ხელშეკრულება") შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ხელშეკრულების 3.2 მუხლის „ბ" პუქნტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) 2015 წლის 1 ივნისამდე საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე (ს/კ 21.03.35.075) აამოქმედოს ხილის გადამამუშავებელი საწარმო";

ბ) ხელშეკრულების 3.2 მუხლის „გ" პუქნტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ხილის გადამამუშავებელი საწარმოს ამოქმედების მიზნით, 2015 წლის 1 ივნისამდე განახორციელოს არანაკლებ 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარის ინვესტიცია ".

2. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები შეთანხმდნენ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 27 თებერვლის N39 განკარგულებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 09.03.2015 წლის N‹-86 ბრძანების შესაბამისად, მყიდველი გათავისუფლებულია 2014 წლის 29 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა" -ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დარიცხული ჯარიმებისაგან, იმ პირობით, თუ მყიდველის მიერ დროულად შესრულებული იქნება აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

4. შეთანხმების აქტი შედგენილია 3 ეგზემპლარად, თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. შეთანხმება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

დანართი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 27 თებერვლის N39 განკარგულება.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 27.02.2015 წ. N47 ბრძანება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 09.03.2015 წლის N№-86 ბრძანება.

4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა" -ს შესახებ.

5. 2014 წლის 29 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი.

მხარეთა იურიდიული მისამართები:

გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, კომახიძის ქ. N119, ქ. ბათუმი, საქართველო.

მყიდველი: შპს "კახურ ტრადიციული მეღვინეობა - აგრო-ქედა"; იურიდიული მისამართი: თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N12, არასასცხოვრებელი ფართი N3-6, სართული 3, ს/კ 405048513.

მხარეთა ხელმოწერები,

გამყიდველისგან:

მყიდველისგან: